

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 112 (4106)

1970 წ. 10 ივნისი, ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## „წარმატების მთავარი ორგანიზატორი"

სსრ კავშირის ნაკრების დამაჯერებულმა გამარჯვებამ ბელგიელებთან მატჩში, მკვეთრად შეცვალა უცხოური გაზეთების ტონი. ამ მხრივ საინტერესო განცხადება გააკეთა შვეციის გაზეთ „ექსპრესენის" მიმომხილველმა: „მატჩის შემდეგ ბევრი სპეციალისტი დაფიქრდა — ხომ არ უნდა მივაკუთვნოთ სსრ კავშირის ნაკრები ფავორიტთა რიცხვსო?..."

ჩვენი გუნდის თამაშის დაწვრილებითი ანალიზია მოცემული გაზეთ „ჟორნალ დიუ ბრაზილში", რომელიც რიო-დე-ჟანეიროში გამოდის. მიმომხილველი ამბობს: „საბჭოთა ფეხბურთელები ბელგიელებთან მატჩში გაცილებით უკეთესად გამოიყურებოდნენ, ვიდრე პირველ დღეს. თავდასხმამ დამაკმაყოფილებელი ტექნიკა გვიჩვენა. მესამე გოლის შემდეგ მისი უპირატესობა უკვე აშკარა იყო. ბელგიის გუნდი სუსტი მეტოქე იყო კაჩალინის ბიჭებისთვის".

ბრაზილიის მეორე გაზეთი „კორეიუ და მანიანი" უფრო მკაცრია თავის შეფასებაში. „მოედანზე გამოირჩეოდნენ მეკარე კავაზაშვილი, დაცვა შესტერნიოვის მეთაურობით, კარგად ითამაშეს სხვებმაც, მაგრამ ყველაფერი ეს შესაძლოა არ იყოს საკმარისი პირველხარისხოვანი გუნდის დასამარცხებლად".

ჩვენი ნაკრების თამაშზე გაცილებით უფრო მაღალი წარმოდგენის არიან ინგლისელები. „სანდი ექსპრესის" აზრით: „რუსების დაცვა შესტერნიოვის მეთაურობით ძალზე საიმედოა, ბიშოვეცის ორი გოლი კი სერიოზული გაფრთხილებაა ყველა გუნდისთვის, რომლებიც მაღალ მატერიებზე ფიქრობენ".

ინგლისური გაზეთების უმრავლესობა საბჭოთა გუნდში ასათიანისა და მუნტიანის მაღალტექნიკურ თამაშს გამოჰყოფს. „ასათიანი — ეს არის უმაღლესი კლასის ოსტატი, ბრწყინვალე კოორდინაციით. იგი რუსეთის გუნდის წარმატების მთავარი ორგანიზატორი იყო".



ს უ რ ა თ ზ ე: მეოთხე გოლი ბელგიელთა კარში გავიდა ხმელნიცკის შესანიშნავი დარტყმის შემდეგ. ხაკდესის ტელეფოტო.

# დიდი ხნის ნანატრი მატჩი

გვადალახარა, 8 ივნისი. ბრაზილიის ფეხბურთელებმა თანაბარ და დაძაბულ ბრძოლაში გამარჯვება მოიპოვეს ინგლისის გუნდთან — 1:0.

...დილით ალიონზე ჩამოვედით მეხიკოდან, რათა მსოფლიოს ჩემპიონთა და ექსჩემპიონთა ამდენი ხნის ნანატრი მატჩი გვენახა. თამაშის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე „ხალისკოს" სტადიონისკენ მიმავალი ქუჩები უკვე გაჭედილი იყო მანქანებითა და ავტობუსებით. ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოსულმა ბევრმა გულშემატკივარმა გვადალახარის გადატვირთულ სასტუმროებში ადგილი ვერ იშოვნა და პირდაპირ ქუჩაში გაათია ღამე. იქვე, ტროტუარებზე, წინდახედულმა მექსიკელებმა სუვენირებით, ქუდებით, სასტვენებითა და ათასგვარი საჩხაკუნოებით, ჭილის სომბრეროებითა და ეროვნული კერძებით ვაჭრობა გააჩაღეს. ასევე უთენია დადგა სალაროებთან უზარმაზარი რიგი. ხალხი ელოდა სასწაულს — დამატებით ბილეთებს.

ბრაზილიელი ფეხბურთელები ჯერ კიდევ სტადიონზე წასასვლელად ემზადებოდნენ, რომ ტემპერამენტიანმა გულშემატკივრებმა ქუჩაში ველური ცეკვა გააჩაღეს, აფეთქებდნენ პეტარდებს. 72 ათასი მაყურებელი აღფრთოვანებით შეხვდა ინგლისელებსა და ბრაზილიელებს. მათს პატივსაცემად აქ მიღებული ტრადიციისამებრ ჰაერში ათასობით მტრედი აუშვეს.

ჩეხოსლოვაკიისა და რუმინეთის გუნდებთან ჩატარებული წინა მატჩებას შემდეგ ზაგალომ და რამსეიმ მხოლოდ თითო შეცვლა მოახდინეს. ინგლისელთა გუნდში მცველ ნიუტონის ნაცვლად თამაშობდა რაიტი, ბრაზილიელი ნახევარმცველი გერსონი კი ლიმამ შეცვალა. ჩემპიონებმა მწვავე იერიშები კვლავ ჰერსტს დაავალეს, ბრაზილიელებმა — ტოსტაოს. მეტოქეები ფრთხილად თამაშობდნენ, ცდილობდნენ, შეცდომა არ მოსვლოდათ დაცვაში. მიუხედავად ამისა, ორივე კართან ხშირად იქმნებოდა მწვავე მომენტები და სტადიონმა ბევრჯერ დააჯილდოვა ტაშით ორივე მეკარის — ფელიქსისა და ბენქსის ოსტატობა

შესვენების შემდეგ ზაგალოს გუნდმა უფრო კომბინაციურად, უფრო ვაშლილად დაიწყო თამაში. 59-ე წუთზე ჟაირზინიომ პელესგან შესანიშნავი გადაცემა მიიღო და ბრწყინვალე გოლი გაიტანა.

შემდეგ უპირატესობას ინგლისელები ფლობდნენ. ანგარიშის გაქვითვის საუცხოო შესაძლებლობა ჰქონდათ ჰერსტს, ბოლს, განსაკუთრებით კი ასტლს, მაგრამ...

(დასასრული მე-3 გვ.)

## დ ღ ე ს

გაიმართება მესამე ტურის 4 მატჩი: სალვადორი — სსრ კავშირი, შვეცია — ურუგვაი, ბრაზილია—რუმინეთი, გფრ—პერუ.



მოსკოვში შეიქმნა კიდევ ერთი ახალი საერთაშორისო სპორტული ორგანიზაცია — მოყვარულ მოკრივეთა ევროპული ასოციაცია. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო მოყვარულ მოკრივეთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტმა რ. რასელმა. შემდეგ რასელი ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქს ესტუმრა. აეროდრომზე მას და მის თანმხლებ პირებს შეხვდნენ თბილისის სპორტული საზოგადოებრიობის წარმომადგენლები — ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ლ. სანაძე, კრივის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარე ბ. კვინიხიძე, სპორტის დამსახურებული ოსტატები შ. გორგასლიძე და ა. ნავასარდოვი, საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის მთავარი მწვრთნელი გ. გოდერძიშვილი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი დ. კაპცოვი და სხვ.

ს უ რ ა თ ზ ე: რ. რასელი და მისი თანმხლები პირები მასპინძელთა შორის.

მ. ზარგარიანის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა







# ამრავლოს!

თბილისში გაიხსნა ჯანმრთელობის კიდევ ერთი კერა—სპორტული ბაზა „ცისარტყელა". იგი კალინინის რაიონში, ოქროყანის მახლობლად მდებარეობს. შესანიშნავი ბაზაა: მშვენიერი ფეხბურთის მინდორი 1600-ადგილიანი ტრიბუნებით, ჭერჭერობით ერთი 100-მეტრიანი რეზინ-ბიტუმის ბილიკი, მძლეოსნური სექტორები და ... ცინცხალი, გამაჯანსაღებელი ჰაერი. სწორედ ამ ბაზის გახსნას მიეძღვნა სპორტსმენთა ლამაზი გამოსვლები.

მაგრამ ვიდრე სპორტსმენებზე დავიწყებდეთ ლაპარაკს, ჯერ მშენებლები უნდა ვახსენოთ. სამუშაოთა მწარმოებელი ს. ჩიგოგიძე კალინინის რაიონის საგზაო საექსპლოატაციო კონტორაში მუშაობს. მას ბევრ დიდ მშენებლობაში შეუტანია წვლილი, მაგრამ სპორტული ბაზის აგება მაინც სხვა იყო. აქ ჩიგოგიძე განსაკუთრებული გულმოდგინებით მუშაობდა, რადგან ისიც თავგამოდებული ფეხბურთელია: 1935-41 წლებში აბრეშუმხაქსოვი ფაბრიკის ნაკრებ გუნდში გამოდიოდა. ვაჟმა — ალექსანდრემ მამას „უღალატა" და კალათბურთელი გახდა. ახალგაზრდობაში სპორტით დიდად იყვნენ გატაცებული ამ მშენებლობის სხვა მონაწილენიც ტ. მერეკლიშვილი, მ. საპუნოვა, დ. ამირანაშვილი, ა. ორჯოციანი, ვ. ტერ-ადამოვი, ს. ოგანოვი, თვით კონტორის უფროსი კ. ულენტი. უნდა მოვიხსენიოთ კალინინის რაიონის სარემონტო-სამშენებლო კონტორის სამუშაოთა მწარმოებელი ს. ცქრიალაძეც. მისმა მუშაკებმა სპორტსმენებისთვის ყველა პირობა შექმნეს — მოაწყვეს გასახდელები, საშხაპეები, სამედიცინო კაბინეტები. ცალკეა მსაჯთა ოთახიც. სტადიონი ელექტროფიცირებულია, რისთვისაც იზრუნეს კალინინის რაიონის თელასის მუშაკებმა (უფროსი — გ. გოროზიანი).

ამ მშენებლობაზე დიდი მუშაობა ჩატარდა, მაგრამ მშენებლები საბოლოოდ კმაყოფილი ჯერ კიდევ არ არიან. როცა დახურულ სპორტდარბაზს ავაგებთ და საბნებ ბილიკებს მოვაწყობთ, აი, მაშინ გვკითხეთ, — ამბობენ.

მაგრამ ჩვენ ახლავე უნდა ვუთხრათ მადლობა მშენებლებს, აგრეთვე, პარტიის რაიკომის ხელმძღვანელობას, რაიონის ათივე სკოლის კომკავშირელებს, კიბერნეტიკისა და „კავგიპროტრანსის" ინსტიტუტების მუშაკებს, მე-11 პროფტექსასწავლებლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს, რომლებიც ამ ბაზის მოწყობისთვის მონდომებას არ იშურებდნენ.

ახლა კი სპორტსმენებს დავუბრუნდეთ. ლამაზი გამოსვლები დაიწყო... მაღალი ოსტატობა გამოავლინეს მხოფლიო და სსრ კავშირის რეკორდსმენებმა, ა. ხუხრინმა, მისმა ამხანაგებმა ი. პაიაჩკინმა, ლ. გოგიშვილმა, ნ. უშმაევმა. სხვათა შორის, უშმაევს გადაეცა სტადიონის პრიზი საუკეთესო ნახტომისთვის.

კარგად გამოვიდნენ პირველთანრიგოსნები მხატვრულ ტანვარჯიშში — ე. ონოფრიენკო, კ. გუჯარელი, გ. რეზაკოვა, ს. ლიკართოვა, მძლეოსანთა შორის აქ პირველი რეკორდსმენი გახდა თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული მძლეოსნური სკოლის წარმომადგენელი ნ. კოჯაევი. იგი რესპუბლიკის ჩემპიონია სიგრძეზე ხტომაში მოსწავლეთა შორის, აქ კი 100 მეტრზე რბენა მოიგო — 12,0.

61-ე და 52-ე სახლმმართველობების ნორჩ ფეხბურთელთა ამხანაგურ მატჩში გაიმარჯვა პირველმა კოლექტივმა — 2:0. ეს მატჩი ახალ მინდორზე პირველი იყო. ამრავლოს!

**მ. ბუკინი.**

* * *

სურათებზე: მომენტები სპორტული გამოსვლებიდან.

მ. ზარგარიანის ფოტო.

## ოლიმპიური სპორტიდან

### ◆ სოხუმი

„სპარტაკის" სპორტდარბაზში გაიმართა კალათბურთელ ქალთა ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ „სპარტაკის", „განთიადის", „კოლმეურნის", პედინსტიტუტის, განათლების სამინისტროს, სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის კოლექტივები. I ადგილი პედინსტიტუტის კალათბურთელებმა მოიპოვეს. II ადგილზე გავიდნენ მოსწავლეები, III — „სპარტაკის" წარმომადგენლები.

**დ. შონია.**

### ◆ გულრიფში

დამთავრდა რაიონის მოსწავლეთა VII სპარტაკიადა. პროგრამაში იყო მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი, ფეხბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი და მძლეოსნობა. საერთო I ადგილი დაიკავა გულრიფშის საშუალო სკოლის (დირექტორი გ. კვირკველია, ფიზაღზრდის მასწავლებელი ლ. სურმენელიანი) ნაკრებმა. II ადგილი წილად ხვდათ მერხეულის საშუალო სკოლის სპორტსმენებს, III — დრანდის სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებს.

**შ. ჯალაღონია.**

### ◆ თელავი

ჩატარდა ზონალური შეჯიბრება სახანძრო გამოყენებით სპორტში. სარბიელზე გამოვიდნენ თელავის, მარნეულის, ბოლნისის, გარდაბნის, საგარეჯოს, ლაგოდეხის, წნორის, წითელი წყაროს, სიღნაღის, ყვარლისა და გურჯაანის სახანძრო ნაწილები. გუნდური I ადგილი დაიკავა თელავის კოლექტივმა. II ადგილზე არიან მარნეულის, III წითელი წყაროს წარმომადგენლები.

**ვ. ქურციკაშვილი,**
თელავის სახანძრო ნაწილის უფროსი.

# სსრ კავშირის ოლიმპიურ კომიტეტში

სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდიუმის გაფართოებულმა სხდომამ, რომელშიც საბჭოთა სპორტული ფედერაციების წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ, მოისმინა ზემოხსენებული კომიტეტის თავმჯდომარის კ. ანდრიანოვის ინფორმაცია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 69-ე სესიის (ჩატარდა მაისში ამსტერდამში) მუშაობის შედეგების შესახებ.

სესიის მუშაობა სპორტული საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში იდგა. საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს (სოკ-ი) უნდა გადაეწყვიტა თანამედროვე ოლიმპიური მოძრაობის მთელი რიგი მნიშვნელოვანი პრობლემები, მათ შორის, 1976 წლის ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორი ქალაქის საკითხი.

როგორც ცნობილია, ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ჩატარებაზე მოსკოვიც აცხადებდა პრეტენზიას. მოსკოვმა ყველა ვალდებულება შეასრულა. საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტსა და საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებს ყველა აუცილებელი გარანტია მიეცათ.

სოკ-მა და საერთაშორისო ფედერაციებმა თავის დროზე მიიღეს სრული ინფორმაცია საბჭოთა კავშირის დედაქალაქში ოლიმპიური ასპარეზობის ჩატარების პირობების შესახებ.

საბჭოთა სპორტის მნიშვნელოვანი წვლილი საერთაშორისო სპორტული მოძრაობის განვითარებაში, უდიდესი საერთაშორისო ტურნირების საუცხოოდ ჩატარების გამოცდილება, საბჭოთა სპორტსმენთა აქტიური მონაწილეობა ოლიმპიურ თამაშებში, მოსკოველთა გულწრფელი სურვილი, რომ თავიანთ ქალაქში მასპინძლობა გაეწიათ მსოფლიოს სპორტული ახალგაზრდობისთვის — ეს ყველაფერი საკმარისი საფუძველი იყო, რათა ჩვენს წინადადებაზე თანხმობის მიღების იმედი გვქონდა.

კენჭისყრის შედეგებმა გვიჩვენა, რომ სოკ-ს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც არ შეესაბამება საერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობის ჭეშმარიტი განმტკიცების ამოცანას, არ უპასუხებს მის ძირითად პრინციპებს.

სსრ კავშირი პირველი სოციალისტური ქვეყანაა, რომელმაც ოლიმპიური ასპარეზობის მასპინძლობის სურვილი გამოთქვა. უარი ამ სურვილზე გვაიძულებს დავფიქრდეთ ოლიმპიური მოძრაობის შემდგომ განვითარების გზებზე.

ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ სოკ-ის წევრების უმრავლესობა თანამედროვე ოლიმპიური მოძრაობის უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაჭრის დროს ხელმძღვანელობს არა ამ მოძრაობის რეალური ამოცანებით, არამედ მათივე პოლიტიკური ორიენტაციიდან გამომდინარე პირადი შეხედულებებით.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის არათანმიმდევრობამ და გარკვეულმა კონსერვატიზმმა თავი იჩინა თანამედროვე ოლიმპიური მოძრაობის სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრის დროსაც.

ორი წლის წინ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ 1971 წელს სოფიაში ჩატარდეს ოლიმპიური კონგრესი სოკ-ის, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტებისა და საერთაშორისო სპორტული ფედერაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით. მაგრამ ახლა, რაკი საერთაშორისო სპორტის არსებული პრობლემების ფართოდ განხილვას არიდებს თავს, სოკ-ის ხელმძღვანელობა ცდილობს გააჭიანუროს ამ მნიშვნელოვანი თათბირის მოწვევა.

სსრ კავშირის ოლიმპიურმა კომიტეტმა თავის სხდომაზე მხარი დაუჭირა ადრე მიღებული გადაწყვეტილების შესრულებას და კონგრესის 1971 წელს ჩატარებას.

როგორც ადრე, სოკ-ი ახლაც თავს არიდებს გაერთიანებული ეროვნული ოლიმპიური კომიტეტებისა და საერთაშორისო სპორტული ფედერაციების აღიარებას.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ამსტერდამის სესიაზე წარდგენილი იყო რიგი ქვეკომიტეტების წინადადებები, რომლებიც ორი წლის მანძილზე მუშაობდნენ სამოყვარულო წესების სრულყოფის, განვითარებადი ქვეყნებისადმი დახმარების, სოკ-ის ოლიმპიურ კომიტეტებთან კავშირის განმტკიცებისა და სხვა საკითხებზე. მაგრამ სოკ-მა ამ საკითხების განხილვა კვლავ გადადო მორიგ სესიამდე.

საერთაშორისო სპორტის პროგრესული ძალების აქტიური ბრძოლის შედეგად სოკ-ი იძულებული იყო ოლიმპიური მოძრაობიდან გამოეთიშა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, სადაც ძირითად მოსახლეობას შორის სპორტში რასობრივი დისკრიმინაცია მეფობს.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 69-ე სესიამ მოისმინა 1972 წლის ზამთრისა და ზაფხულის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტების მოხსენებები, დაამტკიცა საპოროსა და მიუნხენის ოლიმპიურ შეჯიბრებათა პროგრამა.

შეწყდება მიუნხენის ოლიმპიადისთვის მონეტის გამოშვება წარწერით „გერმანიის XX ოლიმპიური თამაშები". ამიერიდან წარწერა ასეთი იქნება: „მიუნხენის XX ოლიმპიური თამაშები."

საპოროს თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლებმა პირობა დადეს, რომ ზამთრის თამაშები საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ყველა წესისა და დებულების დაცვით ჩატარდება.

სოკ-მა 1972 წლის ზამთრისა და ზაფხულის თამაშების საორგანიზაციო კომიტეტებს დაავალა დასამტკიცებლად წარადგინონ წინადადებები კულტურული პროგრამის შესახებ ოლიმპიური თამაშების ჩარჩოებში.

ამსტერდამის სესიამ ზოგიერთი ცვლილება შეიტანა 1972 წლის ოლიმპიური ასპარეზობის პროგრამაში. თავისუფალი და კლასიკური სტილის მოჭიდავეთა შეჯიბრებები ათ წონით კატეგორიაში ჩატარდება. ორ-ორი წონითი კატეგორია ემატება ძიუდოისტთა და ძალოსანთა შეჯიბრების პროგრამას. ამას გარდა, პირველად მოეწყობა ასპარეზობა წყლის სლალომში.

1976 წლის ოლიმპიური თამაშების პროგრამა ჯერ დამტკიცებული არ არის.

სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდიუმმა მხარი დაუჭირა აკადემიური ნიჩბოსნობის, ველო და სასროლო სპორტის საერთაშორისო ფედერაციების წინადადებებს, რომ 1976 წლის თამაშებში ამ სახეობებში ქალთა შეჯიბრებებიც მოეწყოს.

სოკ-ის 69-ე სესიის შედეგების შეჯამებისას სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდიუმმა აღნიშნა წინააღმდეგობათა გამწვავება თვით ამ ორგანიზაციაში. სოკ-ის წევრთა კონსერვატული ნაწილი ცდილობს გააძლიეროს თავისი გავლენა მიღებულ გადაწყვეტილებათა ხასიათზე. ამსტერდამის სესიაზე დამტკიცდა, რომ სოკ-ი ისწრაფვის არ დაუშვას თავისი შემადგენლობის გაფართოება და მასში ოლიმპიური მოძრაობის მონაწილე ყველა ქვეყნის წარმომადგენელთა შეყვანა.

# მძღოლები გამოცდებს აბარებენ

დოსააფის თბილისის კომიტეტმა გამართა საქალაქო პირველობა საავტომობილო მრავალჭიდში. ტურნირში ლენინის, პირველი მაისის, ოქტომბრის, 26 კომისრის, კიროვის, კალინინისა და ორჯონიკიძის სახელობის რაიონების გუნდები მონაწილეობდნენ. გუნდების შემადგენლობაში 2-2 სპორტსმენი იყო, პროგრამაში კი — მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლა, ხელყუმბარის ტყორცნა, მსუბუქი მანქანით „მ-21" ფიგურული სიარული და საწვავის ეკონომია.

ორჯონიკიძის რაიონის დუეტი — სპორტის ოსტატობის კანდიდატი ვ. ლევშინი და პირველთანრიგოსანი რ. ქურხული სროლაშივე დაწინაურდა, სხვა სახეობებშიც კარგად იასპარეზა, საბოლოოდ 55 ქულა დააგროვა და გაიმარჯვა. მეორე ადგილზეა პირველი მაისის რაიონის, მესამეზე — 26 კომისრის რაიონის გუნდები.

ქალაქის საუკეთესო სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ სპორტის ტექნიკურ სახეობებში რესპუბლიკურ სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ ამ სახეობის ტურნირში.

**ო. კიკნაველიძე,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

# მსოფლიო პირველობა
## ფეხბურთი 1970 მექსიკო IX MEXICO

IX campeonato mundial de futbol
MEXICO 70

# დიდი ხნის ნანატრი მატჩი

დასასრული

ჩვენ ამ მატჩზე აზრის გამოთქმა ვთხოვეთ სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ვ. მასლოვს, რომელიც საბჭოთა ნაკრების ხელმძღვანელთა თხოვნით გვადალახარაში მესამე ქვეჯგუფის გუნდების თამაშს აკვირდება. „ეს იყო კარგი ფეხბურთი, განსაკუთრებით მეორე ტაიმში. მატჩის მიწურულს ინგლისელები მართლაც ჩემპიონურად თამაშობდნენ. ისინი ხშირად უქმნიდნენ თავდამსხმელებს გადამწყვეტი დარტყმის საშუალებას, მაგრამ ამ უკანასკნელთ უპატიებელი შეცდომები მოსდიოდათ. მიმაჩნია, რომ ტაქტიკური თვალსაზრისით ინგლისელებმა მეტისმეტი სიფრთხილე გამოიჩინეს.

მრავალი წლის დავა იმის შესახებ, რომელი სკოლა სჯობს — ლათინური ამერიკისა თუ ევროპული, ჩემის აზრით, ზედმეტია. მთავარია თამაშის ეროვნული ხასიათი. ბრაზილიელები უფრო ემოციურნი არიან, ინგლისელები უფრო მშვიდნი. და ეს თამაშზე გავლენას ახდენს.

არ შემიძლია არ აღვნიშნო: ბოლი, ლი, პიტერსი, ჩემის აზრით, ჯერ კიდევ არ არიან საბრძოლო ფორმაში. გამარჯვებულთა შორის საუკეთესონი იყვნენ ჟაირზინიო და რიველინო.“

პრეს-ცენტრში ჩვენ შევხვდით ბრაზილიელთა ყოფილ მწვრთნელს ჟოაო სალდანიას, რომელიც დაუბრუნდა თავის ძველ პროფესიას — ჟურნალისტობას. მან სიამოვნებით გაგვიზიარა შთაბეჭდილებები მატჩზე. „ზოგიერთი გუნდი, — თქვა სალდანიამ, — ახლა პირველ ყოვლისა ზრუნავს არა თამაშის ხარისხისთვის, არამედ მეოთხედფინალში გასვლისთვის. ჩემმა თანამემამულეებმა დამსახურებული გამარჯვება მოიპოვეს. ისინი თამაშობდნენ მრავალფეროვნად, მაშინ, როცა ინგლისელები თავდასხმის დროს ძირითადად საჯარიმო მოედანზე გრძელ ჩაწოდებებს სჯერდებოდნენ.

ა. კაჩალოვი,
ს. ხიჩოვი.
(საკდესის სპეც. კორ.).



ინგლისის ნაკრებთან წარმატება ბრაზილიის ფეხბურთელთა მთავარი პრობლემა იყო, ამიტომაც მატჩის შემდეგ გამარჯვებულნი რეპორტიორთა ტყვეობაში მოექცნენ.

ს უ რ ა თ ზ ე: პელე ინტერვიუს აძლევს მექსიკის რადიოს. აქვეა ბრაზილიელთა კაპიტანი კარლოს ალბერტო.



მეხიკოს მაღალმთიანეთზე და გაიშვიათებულ ჰაერზე ბევრს წერდნენ. მართალია, მოთამაშეებმა გაიარეს გარკვეული აკლიმატიზაცია, მაგრამ ჯერ კიდევ საჭიროა ხოლმე გარკვეულ სამედიცინო ღონისძიებათა მიღება. ჩვენს სურათზე აღბეჭდილია საბჭოთა გუნდის წევრი მ. ხურცილავა, რომელიც მორიგი ვარჯიშის შემდეგ სპეციალური ბალონიდან ისუნთქავს ჟანგბადს.

ს. სიჩოვის ფოტო (საკდესი).

# ყველა გოლი

მართალია მსოფლიოს IX ჩემპიონატმა ეს-ეს არის სტარტი აიღო, სნაიპერთა ტრიო უკვე გამოიკვეთა. სულ, ფეხბურთელებმა ორი ტურის შემდეგ 45 გოლი გაიტანეს. ეს საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია, ვინაიდან თითო მატჩზე საშუალოდ თითქმის 3 გოლი მოდის.

გთავაზობთ ჩემპიონატის ყველა გოლს და მათ ავტორებს:

| | |
|---|---|
| მიულერი (გფრ) | — 4 |
| ჟაირზინიო (ბრაზილია) | — 3 |
| კუბილასი (პერუ) | — 3 |
| ვან მური (ბელგია) | — 2 |
| ლამბერტი (ბელგია) | — 2 |
| ზეელერი (გფრ) | — 2 |
| პეტრაში (ჩეხოსლოვაკია) | — 2 |
| ბიშოვეცი (სსრ კავშირი) | — 2 |
| ვალდივია (მექსიკა) | — 2 |
| დერმენჯიევი (ბულგარეთი) | — 1 |
| ბონევი (ბულგარეთი) | — 1 |
| ნიკოდიმოვი (ბულგარეთი) | — 1 |
| კოლევი (ბულგარეთი) | — 1 |
| გალარდო (პერუ) | — 1 |
| ჩუმპიტასი (პერუ) | — 1 |
| ჩალე (პერუ) | — 1 |
| მანეირო (ურუგვაი) | — 1 |
| მუიკა (ურუგვაი) | — 1 |
| ჰერსტი (ინგლისი) | — 1 |
| ხუმანი (მაროკო) | — 1 |
| რიველინო (ბრაზილია) | — 1 |
| პელე (ბრაზილია) | — 1 |
| დომენგინი (იტალია) | — 1 |
| ასათიანი (სსრ კავშირი) | — 1 |
| ხმელნიცკი (სსრ კავშირი) | — 1 |
| ნიაგუ (რუმინეთი) | — 1 |
| დუმიტრაკე (რუმინეთი) | — 1 |
| ფრაგოსო (მექსიკა) | — 1 |
| ბასაგურენი (მექსიკა) | — 1 |
| ლიბუდა (გფრ) | — 1 |
| ტურესონი (შვეცია) | — 1 |
| შპიგლერი (ისრაელი) | — 1 |



სურათზე: გერდ მიულერი (გფრ)

# 16 ფინალისტი ერთ მწკრივში

ორი ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მოაგროვეს ბრაზილიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და პერუს გუნდებმა. ყველაზე მეტი ბურთი გაიტანა გფრ-ის თავდასხმამ — 7. მას მხოლოდ 1 ბურთით ჩამორჩებიან პერუს თავდამსხმელები — 6.

გატანილი და მიღებული ბურთების დადებითი ბალანსი აქვს 7 კოლექტივს (ბრაზილია, გფრ, მექსიკა, სსრ კავშირი, პერუ, ურუგვაი, იტალია), უარყოფითი — 6 გუნდს (შვეცია, ისრაელი, ბულგარეთი, ჩეხოსლოვაკია, მაროკო, სალვადორი).

ყველაზე სუსტი დაცვა ჰყავს ბულგარეთის ნაკრებს, რომელმაც ორ შეხვედრაში 8 ბურთი გაუშვა. სუსტად თამაშობენ მსოფლიო ჩემპიონატის დებიუტანტის სალვადორის მცველებიც (7 გოლი). სხვათა შორის, სალვადორის გუნდი ერთადერთი კოლექტივია, რომელმაც ჯერჯერობით ვერც ერთი ბურთი ვერ გაიტანა მეტოქის კარში. (მეტი თვალსაჩინოებისთვის გთავაზობთ ფინალისტთა ნაკრებ ცხრილს)

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 2 | 2 | 0 | 0 | 5—1 | 4 |
| გფრ | 2 | 2 | 0 | 0 | 7—3 | 4 |
| პერუ | 2 | 2 | 0 | 0 | 6—2 | 4 |
| მექსიკა | 2 | 1 | 1 | 0 | 4—0 | 3 |
| სსრ კავშირი | 2 | 1 | 1 | 0 | 4—1 | 3 |
| ურუგვაი | 2 | 1 | 1 | 0 | 2—0 | 3 |
| იტალია | 2 | 1 | 1 | 0 | 1—0 | 3 |
| ბელგია | 2 | 1 | 0 | 1 | 4—4 | 2 |
| რუმინეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 2—2 | 2 |
| ინგლისი | 2 | 1 | 0 | 1 | 1—1 | 2 |
| შვეცია | 2 | 0 | 1 | 1 | 1—2 | 1 |
| ისრაელი | 2 | 0 | 1 | 1 | 1—3 | 1 |
| ბულგარეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 4—8 | 0 |
| ჩეხოსლოვაკია | 2 | 0 | 0 | 2 | 2—6 | 0 |
| მაროკო | 2 | 0 | 0 | 2 | 1—5 | 0 |
| სალვადორი | 2 | 0 | 0 | 2 | 0—7 | 0 |

# ვიმკითხოთ...

მართლაც, რა შეიძლება მოხდეს ჯგუფებში? 2 ტურის მატჩები უკვე განვლილია, ზოგიერთი რამ საბოლოოდაა ცნობილი, მაგრამ ყოველ გუნდს თითო შეხვედრა ჯერ კიდევ ჩასატარებელი აქვს და ამ მატჩების შედეგებს შეუძლია გარკვეული კორექტივების შეტანა გუნდების საბოლოო განლაგებაში.

დავიწყოთ I ჯგუფით. აქ გაირკვა, რომ სალვადორის ნაკრებს პერსპექტივაში აბსოლუტურად არაფერი არა აქვს. იგი უიმედო აუტსაიდერია. ცამდე მართალი იყო გუნდის მწვრთნელი, ჩილიელი ე. კარასკო, როცა განაცხადა, რომ სალვადორელები უმნიშვნელო ერთეულს წარმოადგენენ ასეთ დიდ ტურნირში და მათი დიდი წარმატება, სიურპრიზები, სენსაციები მოთავდა მაშინ, როცა გუნდმა ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. ახლა ჩვენი მიზანია — განაცხადა კარასკომ, — თუნდაც ერთი ქულა.

და აი, სალვადორელებს ჯერ ეს ერთი ქულაც არა აქვთ. საბჭოთა ფეხბურთელებს 10 მაისს მათთან ფრე ყოველმხრივ ჰყოფნით და ისინი მეოთხედფინალში არიან გასული. მეოთხედფინალის მეორე მონაწილეს გამოარკვევს 11 ივნისის მატჩი მექსიკისა და ბელგიის გუნდებს შორის. მექსიკელებს აქ გარკვეული უპირატესობა აქვთ, ვინაიდან ფრე მათთვის ვიზაა ზემო საფეხურზე ასასვლელად.

ამრიგად ვინ: ალბათ, სსრ კავშირი და მექსიკა.

ასევე საალბათოდაა საქმე II ჯგუფში. მართალია, აქ გამოკვეთილია 2 ლიდერი (ურუგვაი, იტალია) და 2 აუტსაიდერი (შვეცია, ისრაელი), რომლებსაც შესაბამისად 3-3 და 1-1 ქულა აქვთ, მაგრამ საქმე ისაა, რომ 10 და 11 ივნისს ლიდერები აუტსაიდერებს ხვდებიან და ფეხბურთში რა არ ხდება? ურუგვაელები თამაშობენ შვეციის ნაკრებთან, იტალიელები კი ისრაელთან. ვთქვათ, გამართლდა ასეთი პრინციპი: წინანი უკან და უკანანი წინ. მაშინ, თუ ორივე აუტსაიდერმა გაიმარჯვა, მოხდება საოცარი ამბავი: 4 გუნდს ქულათა თანაბარი რაოდენობა აღმოაჩნდება — 3-3, და ძალაში შევა დებულების პუნქტი, რომელიც უპირატესობას ანიჭებს ბურთების უკეთესი სხვაობით (და არა შეფარდებით). თუ ეს მაჩვენებელიც ერთნაირი იქნა, მაშინ ყველაფერს გადაწყვეტს კენჭისყრა.

მაგრამ თუ „ვიმკითხავებთ“ (ბოლოს და ბოლოს, პროგნოზი მკითხაობაა), იტალიელებმა უნდა მოუგონ ისრაელის გუნდს, ურუგვაელებმა კი ქულა მაინც უნდა აიღონ შვედებთან.

ამრიგად: იტალია და ურუგვაი.

III ჯგუფი. იგი ყველაზე უფრო ძნელი და „სახლაფორთო“ იყო თავიდანვე, როცა ფინალისტთა კენჭისყრა მოხდა. მაშინ ბევრს ლაპარაკობდნენ, რომ უსამართლობაა ერთ ჯგუფში მოუყარო თავი ბრაზილიას, ინგლისს და ჩეხოსლოვაკიას. ლაპარაკი იყო 3 პრეტენდენტზე, რუმინელებს კი წინასწარვე განწირულად თვლიდნენ ამ ძლიერ კომპანიაში.

ჩვენ კი დავრწმუნდით, რა ხილი ყოფილა ეს რუმინეთის გუნდი, როცა მან მხოლოდ უკიდურესად მძიმე ბრძოლის შემდეგ დაუთმო მსოფლიო ჩემპიონებს — ინგლისელებს (0:1) და მოუგო ჩეხოსლოვაკიელებს (2:1).

განწირული გამოდგა ჩეხოსლოვაკიის ნაკრები, რომელსაც დასაკარგი აღარაფერი აქვს „ბორკილების“ გარდა. ესაა 11 ივნისის მატჩი ინგლისთან, პრესტიჟის მატჩი.

ბრაზილიელებს 4 ქულა აქვთ და ბურთების აქტიური სხვაობა — 5-1. მათი გასვლა მეოთხედფინალში თითქოს ეჭვს არ უნდა იწვევდეს. მაგრამ საქმე მთლად ასე არაა. ხომ შეიძლება ბრაზილიელებმა წააგონ რუმინეთთან და ინგლისმა მოუგოს ჩეხოსლოვაკიას? მაშინ ბრაზილიას, ინგლისს და რუმინეთს ექნებათ 4-4 ქულა და საქმე მიდგება ბურთების სხვაობაზე, ეს კი ახალ გაუგებრობებს იწვევს. კალენდრით ბრაზილიელებს თავიანთი მატჩი რუმინეთთან ინგლის-ჩეხოსლოვაკიის მერე რომ ჰქონდეთ, მათ შეეძლოთ ამ შეხვედრის შედეგის მიხედვით, უბრალოდ, მეორე შემადგენლობა გამოეყვანათ მინდორზე, მიეცათ თამაში რუმინელებისთვის იმ მარტივი სტრატეგიული თვალსაზრისით, რომ საბოლოოდ მოეშორებინათ თავიდან ყველაზე ძნელი მოწინააღმდეგე — ინგლისის ნაკრები და მის ნაცვლად მეოთხედფინალის გზა რუმინელებისთვის გაეხსნათ.

ერთი სიტყვით, აქ სადავო ვარიანტი ბევრია, მაგრამ მაინც სავარაუდოა, რომ ინგლისელები ხელიდან არ გაუშვებენ შემდგომ ბრძოლებში მონაწილეობის შანსს ჩეხოსლოვაკიის გუნდთან და ბრაზილიის ნაკრებთან ერთად გავლენ მეოთხედფინალში.

დარჩა ბოლო, IV ჯგუფი. აქ არც სამკითხაოა არაფერი და არც გამოსათვლელი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და პერუს გუნდები 4-4 ქულით უკვე გასული არიან მეოთხედფინალში და 10 ივნისს ერთმანეთს შორის შეუძლიათ „საკურორტო“ მატჩი ითამაშონ. დაახლოებით ასეთივე შეხვედრა ელით ბულგარეთისა და მაროკოს გუნდებს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მათ ჯერ არც ერთი ქულა არა აქვთ და უნდა იბრძოლონ იმისათვის, რათა მთლად ხელცარიელნი არ დაბრუნდნენ შინ გაბოროტებულ გულშემატკივართა სახტვენად.

ჩვენი კომენტატორი

## სსრ კავშირის პირველობა

ფეხბურთი

### გასტუმრებული, გოლები, პენალტი

უმაღლესი ჯგუფი

მცირე ხნის შესვენების შემდეგ განახლდა სსრ კავშირის ჩემპიონატის მატჩები უმაღლეს ლიგაში. 8 ივნისს შედგა 5 შეხვედრა.

სავრცნობი დანაკლისი განიცადეს ლიდერებმა, უმთავრესად მათ, ვისაც ნაკრებში ჰყავს დელეგირებული მოთამაშეები. კიეველებმა საკუთარ მინდორზე მიიღეს როსტოვის არმიელთა გუნდი და ყვერაფერი გააწყეს მასთან. 21-ე წუთზე ტრემბაჩმა და პროსკურინმა გაითამაშეს კომბინაცია, რომელიც გოლით დამთავრდა და სტუმრებმა ბოლომდე შეინარჩუნეს ეს მინიმალური ანგარიში — 1:0. ამ მატჩში მინდვრიდან იქნა გაძევებული არმიელი ნოვიკოვი.

მოსკოვის სპარტაკელებმა შინ ქულა დაკარგეს მინსკის „დინამოსთან" შეხვედრაში. მასპინძლები წინ იყვნენ (გრიგორიევი), მაგრამ ვასილიევმა შეძლო თანაფარდობის აღდგენა — 1:1.

მოსკოვის „დინამო" ლენინგრადში შეხვდა „ზენიტს". დასაწყისში დაწინაურდნენ სტუმრები (კოზლოვი), რის შემდეგ მათს კარში დანიშნულ იქნა პენალტი. იგი ზუსტად გამოიყენა უნანოვმა — 1:1.

ძალზე მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა „ფახთაქორმა", რომელიც შინ ღებულობდა „ნევთჩის". მატჩის ბედი გადაწყვიტა ჩუვილინის მიერ პირველ ტაიმში გატანილმა ბურთმა — 1:0. აღსანიშნავია, რომ ტაშკენტელებს თავიანთ გუნდში ცსკა-დან დაუბრუნდათ აბდურაიმოვი.

წარმატებით ითამაშა „არარატმა", რომელმაც თავის მინდორზე ანგარიშით 2:0 დაამარცხა ორჯონიკიძის „სპარტაკი". ბურთები გაიტანეს ანდრიასიანმა და პოღოსიანმა.

ერთადერთი შეხვედრა, სადაც არ გატანილა არც ერთი გოლი, შედგა დონეცკში. აქ „შახტიორმა" და „ზარიამ" ითამაშეს ფრედ — 0:0.

ჩემპიონატს ახლა ჰყავს 3 სნაიპერი: თბილისელი გ. ნოდია, როსტოველი ვ. პროსკურინი და მოსკოვის დინამოელი ვ. კოზლოვი. თითოეული მათგანის ანგარიშზეა 6 ბურთი.

* * *

გუშინ მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ტორპედო" და „ჩერნომორეცი".

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 9 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 11 | 6 | 3 | 2 | 18—5 | 15 |
| „დინამო" (თბილისი) | 10 | 6 | 3 | 1 | 18—6 | 15 |
| ასკ (დონის როსტოვი) | 10 | 5 | 4 | 1 | 9—4 | 14 |
| „დინამო" (კიევი) | 10 | 6 | 2 | 2 | 10—6 | 14 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 10 | 5 | 3 | 2 | 15—4 | 13 |
| „ნევთჩი" (ბაქო) | 11 | 3 | 6 | 2 | 10—8 | 12 |
| „არარატი" (ერევანი) | 10 | 5 | 2 | 3 | 9—6 | 12 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 10 | 2 | 6 | 2 | 13—12 | 10 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 10 | 3 | 4 | 3 | 9—10 | 10 |
| „ზარია" (ვოროშილოვგრადი) | 11 | 3 | 4 | 4 | 6—12 | 10 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 10 | 2 | 5 | 3 | 5—7 | 9 |
| „დინამო" (მინსკი) | 10 | 2 | 4 | 4 | 7—8 | 8 |
| „ფახთაქორი" (ტაშკენტი) | 11 | 2 | 4 | 5 | 7—22 | 8 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 10 | 2 | 3 | 5 | 6—9 | 7 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 10 | 2 | 3 | 5 | 9—14 | 7 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 10 | 1 | 5 | 4 | 6—12 | 7 |
| „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) | 10 | 0 | 3 | 7 | 6—20 | 3 |

II ჯგუფი

### გათამაშების ცხრილები

II ზონა

მდგომარეობა 9 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი" (ტულა) | 11 | 8 | 3 | 0 | 20—7 | 19 |
| „ტორპედო" (ტაგანროგი) | 11 | 6 | 4 | 1 | 13—4 | 16 |
| „დინამო" (სტავროპოლი) | 11 | 6 | 3 | 2 | 13—10 | 15 |
| „შინიკი" (იაროსლავლი) | 11 | 4 | 6 | 1 | 7—2 | 14 |
| „მაშუკი" (პიატიგორსკი) | 11 | 5 | 4 | 2 | 13—10 | 14 |
| „ლოკომოტივი" (კალუგა) | 11 | 5 | 4 | 2 | 11—10 | 14 |
| „ავტომობილისტი" (ნალჩიკი) | 11 | 4 | 4 | 3 | 15—4 | 12 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 11 | 5 | 2 | 4 | 14—8 | 12 |
| „დინამო" (ბათუმი) | 11 | 4 | 4 | 3 | 9—8 | 12 |
| „შირაკი" (ლენინაკანი) | 11 | 4 | 3 | 4 | 13—10 | 11 |
| „ვოლგა" (კალინინი) | 11 | 5 | 1 | 5 | 13—11 | 11 |
| „სალიუტი" (ბელგოროდი) | 11 | 4 | 3 | 4 | 15—14 | 11 |
| „სტალი" (ვოლგოგრადი) | 11 | 3 | 5 | 3 | 11—10 | 11 |
| „დრუჟბა" (მაიკოპი) | 11 | 4 | 3 | 4 | 10—10 | 11 |
| „ვოლგა" (გორკი) | 11 | 4 | 3 | 4 | 12—15 | 11 |
| „დილა" (გორი) | 11 | 4 | 2 | 5 | 12—14 | 10 |
| „დინამო" (მახაჩყალა) | 11 | 4 | 2 | 5 | 12—17 | 10 |
| „ფოლადი" (სუმგაითი) | 11 | 2 | 4 | 5 | 6—8 | 8 |
| „სატურნი" (რიბინსკი) | 11 | 1 | 6 | 4 | 8—15 | 8 |
| „მეტალურგი" (ლიპეცკი) | 11 | 1 | 4 | 6 | 10—19 | 6 |
| „ტრუდი" (ვორონეჟი) | 11 | 0 | 3 | 8 | 7—19 | 3 |
| „დინამო" (ბრიანსკი) | 11 | 0 | 3 | 8 | 4—23 | 3 |

## მექსიკურ ტალღაზე



7 ივნისის უძილო ღამე

ნახ. გ. იაშვილისა




## სსრ კავშირის კალათბურთის ჩემპიონატი




# ორი წრის შემდეგ

### „სტროიტელი" (კიევი)

უკრაინელი კალათბურთელები II წრის შემდეგ საკავშირო ჩემპიონატის პრიზიორთა შორის არიან. მათ 16 შეხვედრა მოიგეს და 6-ჯერ დატოვეს მოედანი დამარცხებულებმა (ბურთების სხვაობა — 1759—1583).

| | მ. | წ. | ჯ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| 1. ვალტინი | 22 | 747 | 67 | 373 |
| 2. პოლივოდა | 19 | 547 | 76 | 361 |
| 3. კოვალენკო | 14 | 470 | 52 | 235 |
| 4. ფილოზოფი | 22 | 503 | 72 | 198 |
| 5. გლადუნი | 22 | 779 | 67 | 195 |
| 6. სმოლიაკოვი | 22 | 727 | 77 | 169 |
| 7. კოპიჩკო | 18 | 184 | 48 | 63 |
| 8. მარტინოვი | 17 | 165 | 34 | 62 |
| 9. ზაბროდა | 15 | 123 | 18 | 45 |
| 10. ლუშნენკო | 11 | 40 | 5 | 22 |
| 11. შაბლინსკი | 14 | 101 | 14 | 17 |
| 12. სტარჩაკი | 5 | 33 | 8 | 13 |
| 13. ვასიუტინსკი | 7 | 29 | 9 | 5 |

### „სპარტაკი" (ლენინგრადი)

ნევისპირელები რამდენიმე წელია, რაც ჯიუტად უტევენ საკალათბურთო ოლიმპოს უმაღლეს საფეხურს. ისინი წლეულსაც საპრიზო ადგილების მთავარ პრეტენდენტებად ითვლებიან. „სპარტაკს" დაკარგული აქვს მხოლოდ 6 ქულა და 16 ქულით II-IV ადგილებს იყოფს (ბურთების სხვაობა 1696—1520).

| | მ. | წ. | ჯ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| 1. ა. ბელოვი | 22 | 582 | 88 | 323 |
| 2. ბიკოვი | 22 | 528 | 60 | 269 |
| 3. შტუკინი | 21 | 417 | 87 | 229 |
| 4. ლ. ივანოვი | 21 | 482 | 74 | 207 |
| 5. ფეოდოროვი | 22 | 590 | 61 | 205 |
| 6. იუმაშევი | 21 | 339 | 55 | 129 |
| 7. ვოლჩკოვი | 22 | 417 | 55 | 121 |
| 8. ბოლშაკოვი | 22 | 489 | 81 | 85 |
| 9. კრივოშჩოკოვი | 18 | 270 | 65 | 64 |
| 10. როჟინი | 10 | 175 | 36 | 24 |
| 11. სკვორცოვი | 8 | 67 | 18 | 17 |
| 12. არზამასკოვი | 5 | 45 | 11 | 13 |
| 13. პანკოვი | 2 | 15 | 6 | 6 |
| 14. მოკეევი | 2 | 21 | 10 | 4 |

### „კალევი" (ტარტუ)

ესტონეთის უძლიერეს გუნდს პირველ ხუთეულში ბოლო ადგილი უკავია. იგი მთელი 3 ქულით ჩამორჩება სატურნირო ცხრილის მეოთხე საფეხურზე მყოფ ლენინგრადის „სპარტაკს". ესტონელებმა 13 შეხვედრა მოიგეს, 9 წააგეს. აქვთ ბურთების სხვაობა 1822—1742.

| | მ. | წ. | ჯ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| 1. კრიკუნი | 22 | 691 | 59 | 340 |
| 2. ტამისტე | 22 | 693 | 76 | 337 |
| 3. ტომსონი | 22 | 684 | 68 | 315 |
| 4. ლიპსო | 22 | 569 | 78 | 267 |
| 5. ლეპმეტსი | 22 | 411 | 81 | 157 |
| 6. სალუმეტსი | 12 | 256 | 44 | 108 |
| 7. ლენციოსი | 22 | 454 | 96 | 101 |
| 8. ხ. ლილი | 13 | 242 | 32 | 82 |
| 9. პ. მეტსარი | 9 | 101 | 20 | 38 |
| 10. ა. ლილი | 7 | 73 | 19 | 24 |
| 11. ა. მეტსარი | 8 | 62 | 15 | 20 |
| 12. ფილატოვი | 10 | 58 | 8 | 16 |
| 13. პარბო | 6 | 30 | 9 | 10 |
| 14. ილვესი | 12 | 89 | 29 | 7 |

# თ. ხუგაშვილის ორმაგი წარმატება

გორი, 9 ივნისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ აქ დამთავრდა ქალთა VI საერთაშორისო ტურნირი.

ბოლო, XIII ტურში თ. ხუგაშვილმა ძალიან აქტიურად წარმართა ბრძოლა ნ. ჩიქობავას წინააღმდეგ და უკვე მე-19 სვლაზე აიძულა მეტოქე დანებებულიყო. ამით ხუგაშვილმა 9 ქულა მოაგროვა და ნახევარი ქულით გადააჭარბა ოსტატის წოდებისთვის საჭირო ნორმას.

შესანიშნავად თამაშობდა ე. კაკაბაძე ა. გეორგიევას წინააღმდეგ. მართალია, პარტია ამ დღეს არ დამთავრებულა, მაგრამ კაკაბაძის უპირატესობა იმდენად აშკარა იყო, რომ ბულგარელი მოჭადრაკე მეორე დღეს თამაშის განუახლებლად დანებდა. შეუპოვრად იბრძოდა მოგებისთვის ე. რუბცოვა, რომელმაც 52-ე სვლაზე სძლია კიდეც ც. კობაიძეს.

ლ. კოროშინაძემ ა. ნიკოლაუსთან პარტიაში შავებით შესძლო პოზიციის გათანაბრება, მაგრამ შემდეგ ტაქტიკური შეცდომა დაუშვა და უხარისხოდ დარჩა. ნიკოლაუმ გამსვლელი პაიკი შექმნა და მოიგო.

პოლონეთის ჩემპიონმა ქ. რაძიკოვსკამ სძლია მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ო. რუბცოვას.

სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონი ნ. ალექსანდრია ხარკოველ ო. ანდრეევას შეხვდა. შავებით მან ჯერ გაათანაბრა თამაში, ხოლო შემდეგ უპირატესობაც მიიღო, რამაც მას გამარჯვება მოუტანა.

ამრიგად, ტურნირის საბოლოო შედეგები ასეთია: ნიკოლაუს 11 ქულა აქვს, ე. რუბცოვას — 10,5, ხუგაშვილს — 9, კოროშინაძეს — 7,5, ანდრეევას, ჩიქობავასა და გეორგიევას — 7-7, ალექსანდრიას — 6,5, კაკაბაძეს — 6, კობაიძეს — 5,5, რაძიკოვსკას — 5, კახაბრიშვილს — 4, ო. რუბცოვას — 3, მერლინს — 2.

საღამოს მოეწყო საერთაშორისო ტურნირის საზეიმო დახურვა. საღამო გახსნა გორის აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. ხინჩიკაშვილმა. ტურნირის შედეგებზე ილაპარაკა მთავარმა მსაჯმა ლ. წურომ. შემდეგ გამოვიდნენ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებულნი ნიკოლაუ, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ო. რუბცოვა და ხუგაშვილი. ამავე საღამოს მოეწყო ვ. ქარსელაძის მემორიალის დახურვა.

როგორც ცნობილია, გორის ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტმა საჭადრაკო კომპოზიციაში საკავშირო კონკურსი მოაწყო.

კონკურსის შედეგებზე ილაპარაკა კონკურსის მსაჯთა ჟიურის წევრმა თ. გიორგაძემ. სიტყვებით გამოვიდნენ სსრ კავშირის ჩემპიონი საჭადრაკო კომპოზიციაში, საერთაშორისო ოსტატი ი. ვლადიმიროვი, საერთაშორისო ოსტატი ვ. რუდენკო და ცნობილი გორელი საჭადრაკო კომპოზიტორი ი. კრიხელი.

თ. გიორგაძე.

## 20-ზე

◆ ბოლონია, 9 ივნისი. პოპულარული იტალიელი მოფარიკავის ლ. ჯოვანინის სახელობის პრიზზე აქ გამართულ რაპირისტთა საერთაშორისო ასპარეზობაში გაიმარჯვა პოლონელმა ვეტერანმა ვ. ვოიდამ. საბჭოთა სპორტსმენებმა ვ. სტანკოვიჩმა, ვ. ლუკიანჩენკომ და ა. კოტეშევმა დაიკავეს მომდევნო ადგილები.

◆ კიევი, 9 ივნისი. უკრაინის მძლეოსანთა ჩემპიონატში მოულოდნელი მარცხი იწვნია მსოფლიო რეკორდსმენმა ა. ბონდარჩუკმა. ა. მაქსიმოვის მიერ ნატყორცნი ურო 69,06 მეტრზე დაეცა და ფავორიტი მეორე ადგილზე აღმოჩნდა — 68,60 მ.

◆ მოსკოვი, 9 ივნისი. ხვალ აქ სტარტი მიეცემა გაზეთ „პრავდის" პრიზის გათამაშებას რბენაში. ასპარეზობაში გამოდიან ბულგარეთის, უნგრეთის, გდრ-ის, იაპონიის, მონღოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და ფინეთის წარმომადგენლები.

◆ მოსკოვი, 9 ივნისი. ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტმა დაამტკიცა ჰოკეის საკავშირო ფედერაციის მთავარ მწვრთნელთა საბჭო. საბჭოს თავმჯდომარეა ა. ჩერნიშოვი, საბჭოს წევრები არიან: ი. ბაულინი (ჰოკეის განყოფილების უფროსი მწვრთნელი), ვ. ეგოროვი („კრილია სოვეტოვი"), ვ. კოსტარიოვი (გორკის „ტორპედო"), ბ. მაიოროვი („სპარტაკი"), ნ. პუჩკოვი (ლენინგრადის ასკ), ა. ტარასოვი (ცსკა), ნ. ეპშტეინი (ვოსკრესენსკის „ხიმიკი") და სხვ.

## ახალი ამბები

● მაგდებურგი, 8 ივნისი. მხოლოდ რამდენიმე საათს იარსება გდრ-ის რეკორდმა ქალთა მძლეოსნურ ხუთჭიდში, რომელიც ბ. პოლაკმა დაამყარა ვენაში. 23 წლის მაგდებურგელმა მ. ჰერბსტმა აჩვენა უკეთესი შედეგი — 5141. მისი მაჩვენებლები ცალკეულ სახეობებში ასეთია: 100 მ თარჯრბენი — 13,7, 200 მ — 25,0, ბირთვი — 14,82 მ, სიმაღლეზე ხტომა — 151 სმ, სიგრძეზე ხტომა — 639 სმ. ეს ბოლო შედეგი საუკეთესოა წლეულს მსოფლიოში.

● პარიზი, 8 ივნისი. სპორტულ სიარულში ზემარათონულ დისტანციაზე შეჯიბრებაში (სტრასბურგი — პარიზი) გაიმარჯვა 36 წლის შვეიცარიელმა მუშამ ს. ზაუგმა. მან 510 კმ დაფარა 70:04-ში.

● სარაევო, 8 ივნისი. იუგოსლავიის ამ ქალაქში გამართულ ასპარეზობაში მოულოდნელი იყო 22 წლის უნგრელი მძლეოსანი ქალის მ. ველიკის გამარჯვება 800 მეტრზე რბენაში — 2 03,9. მის მიერ ნაჩვენები შედეგი ჯერჯერობით საუკეთესოა წლეულს მსოფლიოში.

● პრაღა, 8 ივნისი. სტუდენტ მძლეოსანთა შეჯიბრებაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა მ. რეზკოვა—ხიუბნეროვამ 181 სმ სიმაღლე გადალახა, ლ. დანეკის მიერ ნატყორცნი ბადრო 60,92 მეტრზე დაეცა.

● დარ-ეს-სალამი, 8 ივნისი. ტანზანიის თამაშებში ოლიმპიურმა ჩემპიონმა ნ. ტემუმ 10 კმ გარბენას 29.27,7 მოანდომა. კენიელმა პ. ონიანიგომ დაამყარა აღმოსავლეთ აფრიკის ახალი რეკორდი სამხტომში — 16,02 მ.

● პორი, 8 ივნისი. ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონმა, ფინეთის მძლეოსნობის ვეტერანმა პ. ნევალამ ამ ქალაქში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში მოუგო მსოფლიო რეკორდსმენს ი. კინონენს. ნევალის შუბმა 83,66 მეტრზე იფრინა. მის მეტოქეს კი უფრო მოკრძალებული შედეგი ჰქონდა — 76,22 მ.

● ლოს-ანჟელესი, 8 ივნისი. ტრადიციულ ასპარეზობაში — „კომპტონის ესტაფეტები" მსოფლიო რეკორდსმენმა, ამერიკელმა რ. მათსონმა ბირთვი ჰკრა 20,84 მეტრზე. მისმა თანამემამულემ, ასევე მსოფლიო რეკორდსმენმა ჯ. სილვესტრმა ყველას აჯობა ბადროს ტყორცნაში — 62,79 მ.

რედაქტორის მოადგილე ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 8 უე 08221